ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №144

ქ. ქუთაისი 31 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება" წარმოდგენილი დირექტორის ნანა ლორთქიფანიძის სახით (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3; ს/კ 412675396; ტელ: 0231 25-37-00) და მეორეს მხრივ შპს „გოგე" წარმოდგენილი დირექტორის ავთანდილ გოგელიძის სახით ს/ნ 412710259(მისამართი: ქ. ქუთაისი ნიკეას 1/8 ს/ნ (შემდგომში „მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების ფილიალებისათვის ელექტრო საქონლის შესყიდვა. (შემდგომში საქონელი) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი	CPV
GO-3010 პროჟექტორი 150 W	1 ცალი	8 ლარი	8 ლარი	31518100
ელ სადენი პუგნპ 21,5	39 მეტრი	0,8 ლარი	31,2 ლარი	31321210
KHL-083 ნათურა ჰალოგენის 150W	1 ცალი	2 ლარი	2 ლარი	31531000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 41.2 (ორმოცდაერთი ლარი და ოცი თეთრი)ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი ნანა ლორთქიფანიძე.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი #3

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 10 ნოემბრამდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში დროულად აღმოფხვრას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნი შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, წუნდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის გამოცვლის ან/და შეკეთების გზით.

გ) შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“	შპს „გოგე“
მის.: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ.#3	მის: ქ. ქუთაისი ნიკეას 1/8
საიდენტიფიკაციო კოდი 412675396	საიდენტიფიკაციო კოდი 412710259;
ხაზინის ერთიანი ანგარიში	პროკრედიტ ბანკი
	ს/ს GE32PC0013400100000037
---	---
დირექტორი:	დირექტორი:
ნანა ლორთქიფანიძე	ავთანდილ გოგელიძე

მიღება-ჩაბარებისაქტი

ქ.ქუთაისი 3 ნოემბერი 2016წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი ერთის მხრივ შპს“გოგე“ წარმოდგენილი დირექტორის ავთანდილ გოგელიძის სახით (მისამართი: ქ. ქუთაისი ნიკეას 1/8 ს/ნ 412710259 (შემდგომში „მიმწოდებელი“)და

მეორეს მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება”, წარმოდგენილი დირექტორის ნანა ლორთქიფანიძის სახით(ს/ნ 412675396)მის: ქ.ქუთაისი რუსთაველის №3)

ვადგენთ აღნიშნულ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა 2016 წლის 31 ოქტომბრის №144 - ე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება შეასრულა, კერძოდ, ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების” ფილიალებისათვის მოახდინა ელექტრო სქონლის შეძენა, რომლის საერთო ღირებულებაა 41.2 (ორმოცდაერთი ლარი და ოცი თეთრი)ლარი. დღგ-ს გათვალისწინებით.

აქტი სწორია რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

ჩავაბარე: მივიღე:

ავთანდილ გოგელიძე ნანა ლორთქიფანიძე